საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციონური პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ.- სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

№ 147

სამშაბათი, თებერვლის 14 1922 წ.

## მომხმარებელთა საყურადღებოდ

კოოპერატივ „მეურნე“-ში იყიდება გამომცხვარი პური რუმინიის კარგი ღირსების ფქვილიდან, ქართულ ფულზე 15 ათას მანეთად.

გამგეობა.

გენუის კონფერენციის მოწვევას ახასიათებს ორივე მოწინააღმდეგე მხარისაგან შეგნება თანამშრომლობის აუცილებლობისა, დროებით მაინც. გენუა ამ მხრივ გამოწვეული არის იმ სოციალ-პოლიტიკური პირობებით, რომელიც შეიქმნა ომის შემდეგ. ვერც საბჭოთა რუსეთმა და ვერც დიდმა ანტანტამ ვერ შესძლო დამოუკიდებელი იზოლაციის გზით არსებობა და თავისი ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესობა.

გენუამ უნდა შექმნას და მისცეს კაპიტალიზმს პირობები და პრაქტიკული გეგმა მოწინააღმდეგე მხარეების შეთანხმებული მოქმედებისათვის.

როგორც წინათ ვაშინგტონში გამართულ კონფერენციას, ისე დღეს მოსალოდნელ გენუის კონფერენციას დაუკავშირეს საქართველოს საკითხი.

როგორც ვწერდით, ამ კონფერენციამ ჩვენში გადაჭარბებული წარმოდგენა შექმნა და მემარჯვენე წრეები დიდის იმედით შეჰყურებენ მის მოქმედებას. კონფერენციის მოლოდინში და ისი მათთვის სასარგებლოდ დაგვირგვინების იმედით, ჩვენი მემარჯვენე წრეები ამოძრავდნენ.

ევროპაში გადახვეწილმა მთავრობამ ნოტით მიმართა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს, რომელშიაც აღნიშნავდნენ, რომ საქართველო რუსული შეიარაღებულის ძალით არის დაპყრობილი და მან, უმაღლესმა საბჭომ დაუსვას რუსეთის მთავრობას ერთ პირობად საქართველოს გაწმენდა რუსეთის ჯარებისაგან: ამით დაუბრუნოს საქართველოს თავისუფლება და შესაძლებლობა თვითონ განაგოს თავისი ბედი.

ამ გვარად მენშევიკებმა გარკვეული გეგმა წარუდგინეს უმაღლეს საბჭოს და მოითხოვენ საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების შეცვლას. ამ გეგმას ნათელი პოლიტიკური მიზნები აქვს დასახული: უმაღლესმა საბჭომ უნდა დაუბრუნოს ხელისუფლება ქართველ მენშევიკებს. საკითხი გარკვეული და ნათელია, პოლიტიკური სურვილი მენშევიკების ნოტისა ახსნა.

საკითხი იმდენად მხოლოდ მეორეს მხრით: რამდენად შესძლებს უმაღლესი საბჭო რეალურად გაახორციელოს მენშევიკების ნოტის შინაარსი?

ჩვენთვის ნათელია, რომ მენშევიკების ნოტა სავსებით მისაღები და ხელსაყრელია ანტანტისათვის. ანტანტის ინტერესები პირდაპირ მოითხოვს ამ ნოტის რეალურად განხორციელებას. მოკავშირეთა მაღალი ენერგია მიმართული იქნება იქითკენ, რომ როგორმე ამიერ-კავკასია განთავისუფლდეს რევოლიუციონური ორიენტაციისაგან. პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები ანტანტისა ამიერ-კავკასიაში გარკვევით უკარნახებს მოკავშირეებს მოსთხოვოს რუსეთს ამ ტერიტორიალური ერთეულის დაცლა და იქ მისთვის შესაფერისი პირობების შექმნა. ამიერ-კავკასიაში რევოლიუციონური ძალის პოლიტიკური ბატონობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს მოკავშირეებისათვის ახლო აღმოსავლეთში, ამიერ-კავკასია ხომ ერთი დიდი გზაჯვარედინს წარმოადგენს, რომელიც აერთებს მსოფლიოს მრავალ ხვეულ გზებს. ამიერ-კავკასია გეოგრაფიულად გაგრძელება არის ახლო აღმოსავლეთისა და აქედან პირდაპირის გზით შესაძლებელი ხდება მცირე აზიის ამბებთან მჭიდრო კავშირის დაჭერა. ანატოლიის რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც მოკავშირეთა საწინააღმდეგოთ არის შექმნილი და ემუქრება ანტანტის ბატონობას აზიაში, პირდაპირ კავშირში არის რუსეთის მოძრაობასთან, ამიერ-კავკასიის გზების საშუალებით. ანტანტის ინტერესი მოითხოვს პოლიტიკური ბარიერი აღმართოს ამ ორ ძალთა შორის და დააშოროს ისინი ერთი მეორეს. ეს ვერ განახორციელა ანტანტამ, ვერც ვერ დაიცვა აქ არსებული პოლიტიკური სხეულები იარაღით ხელში წარსულში; ცხადია ის შეეცდება აღადგინოს მშვიდობიანის გზით გენუაში. ევროპასა და რუსეთს შორის არსებობს ასეთი პოლიტიკური ბუფერი: ფინეთიდან დაწყებული ბალტიკისა და შავი ზღვის სანაპიროებით, არსებული სახელმწიფოები ასრულებენ ამ ბუფერის როლს. ანტანტის ინტერესი მოითხოვს ასეთივე პოლიტიკური ბუფერი აღმართოს ახლო აღმოსავლეთის საზღვრებთანაც. ამ როლის შესრულება კი მხოლოდ და მხოლოდ ამიერ-კავკასიის ყოფილ მთავრობებს შეუძლიათ. ამ გვარად ნათელია, რომ ანტანტის ინტერესი პირდაპირ მოითხოვს იმ პოლიტიკის წარმოებას, რომელიც გამოხატეს თავიანთ ნოტაში ჩვენმა მენშევიკებმა.

მეორეს მხრით ეკონომიურის მოსაზრებით ანტანტისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამიერ-კავკასიის თავისი საექსპლოატაციო ობიექტად გადაქცევა. ამიერ-კავკასიის მარგანეცი, ნავთი, აბრეშუმი, ბამბა, ტყე და მრავალი სხვა, ჩვენი გზები და მთელი სამეურნეო ცხოვრება იმ დიდ აუზს წარმოადგენს, საიდანაც ევროპის კაპიტალს შეუძლია გაიტანოს უამრავი საკვები საზრდო. ანტანტის ეკონომიური ინტერესები მოითხოვს ამიერ-კავკასიის ყოველგვარ უცხო ძალებისაგან განთავისუფლებას.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები ევროპის იმპერიალისტებისა პირდაპირ მოითხოვენ ჩვენი ტერიტორიის რევოლიუციონური ძალებისაგან გაწმენდას. მენშევიზმი ხომ ის ძალა არის, რომელიც საუკეთესოთ ეგუება იმპერიალიზმის ინტერესებს! დღეს როგორც მენშევიკებს, ისე ანტანტასაც სურს ისარგებლოს ერთი მეორეს დახმარებით და საქმე იმ გვარად მიმართონ, რომელიც ყველაზე უფრო გაანაღდებს მათ მიზნებს. ანტანტა შეეცდება მენშევიკების „დემოკრატიული“ მოსაზრებანი პირის-პირ წაუყენოს რუსეთს, მაგრამ საკითხი ამით არ სწყდება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ანტანტის საზომით უდგება საკითხს და ამ გზით სცდილობს ის გადაჭრას, არსებითად სცდება შემცდარ ხაზებზე და ანგარიშს არ უწევს იმ ობიექტურ გარემოებას, რომელიც მსოფლიოში შეიქმნა. ამიერ-კავკასიაში აუცილებლად ერთი მეორეს ეჯახება ორი მოწინააღმდეგე ძალის ინტერესები რევოლიუციისა და იმპერიალიზმის, რუსეთისა და ანტანტის. თუ ერთის ინტერესი მოითხოვს აქ მენშევიკების გამეფებას, მეორე ინტერესი არსებითად ეწინააღმდეგება ასეთ შესაძლებლობას.

ყველასათვის ნათელი და გარკვეული უნდა იქმნეს, რომ რუსეთი და რევოლიუცია ხელს არ აიღებს ამიერ-კავკასიაზე თავისი ნებით. შეუძლია ანტანტას რაიმე ძალდატანება მოახდინოს რუსეთზე და აიძულოს ის ამიერ-კავკასიის დაცლაზე? ეს საკითხი ეხება რეალურ ძალთა განწყობილებას, მაგრამ როგორც ვიცით, შეიარაღებული ბრძოლისათვის ამ ჟამად ანტანტას არ აქვს შესაფერისი პირობები. ცხადია დიპლომატიურის მოლაპარაკების საგნად უნდა გადაიქცეს ჩვენი საკითხი და საერთოდ ამიერ-კავკასიის საკითხი გენუის კონფერენციაზე.

ის საერთო ტენდენცია, რომელიც ახასიათებს მებრძოლ მხარეებს, და რომელიც მოითხოვს თანამშრომლობისათვის შესაფერისი პირობების შექმნას, ჩვენ გარკვევით გვეუბნება, რომ მოწინააღმდეგენი ვერ აიცილებენ ერთმანეთის „პოლიტიკური რევოლიუციების“ მოდებას და ამ მხრივ ჩვენ საქმე გვექნება სტატუსკვოს შენარჩუნებასთან, ანტანტა ვერ დაემუქრება იარაღით რუსეთს. საბჭოთა რუსეთის არსებითი ინტერესები კი დიდი ენებით მოითხოვს ამიერ-კავკასიის თავის გავლენის ქვეშ ყოლას.

თუ ჩვენ ამ საზომით მივუდგებით საკითხს და გავსინჯავთ ამ მსოფლიოში შექმნილ ძალთა განწყობილების მიხედვით, უნდა გადაჭრით ვთქვათ, რომ მენშევიკების დღევანდელი დიპლომატიური მანევრი სრულიად კრახით დამთავრდება და ვერავითარს რეალურ ნაყოფს ვერ გამოიღებს. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა რუსეთმა ჩიჩერინის ნოტით უკვე პასუხი გასცა მენშევიკებს უკანასკნელ ცდას და ამის სამომავლო შედეგები უთუოდ დაგვირგვინდება მენშევიკებისათვის.

მართალია, ანტანტისათვის ამიერ კავკასიის საკითხი დიდი და მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი ვერ გადაიქცევა გენუის კონფერენციის მთავარ საგნად. ამ კონფერენციას უფრო სხვა ტენდენციები ახასიათებს და სხვა მიზნები იკვებება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამიერ-კავკასიის საკითხი, მით უფრო საქართველოს, ვერ გადაიქცევა გენუის კონფერენციის ჩაშლის მიზეზად. შესაძლებელია სხვა პოლიტიკურმა მოვლენებმა ლიკვიდაცია უყოს ამ კონფერენციას, მაგრამ მენშევიკების ნოტა კი ვერ შესცვლის მის მსვლელობას, გენუა ვერ შესცვლის მსოფლიოს პოლიტიკურ რუქას, ის მხოლოდ პოლიტიკურ კომბინაციებს და ურთიერთობის საკითხს ეხება.

მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობა და ის ტენდენცია, რომელიც ახასიათებს ორ მოწინააღმდეგე მხარეებს დღევანდელს პოლიტიკაში, ნათლად გვეუბნება, რომ ურთიერთ შეთანხმების გზით ამ მხარეებმა უნდა მოგვცეს ახალი ურთიერთობა და დამოკიდებულება.

მაგრამ ეს შეთანხმება შეუძლებელია აგებული იქმნეს ვისიმე სასიკვდილო გახრჩობაზე და კაპიტულიაციაზე.

ფიქრი იმის შესახებ, რომ გენუა შესცვლის ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების რუქას, მხოლოდ მიამიტ და იაფ სურვილებზე არის აღმოცენებული.

გენუის მიერ შექმნილი „[illegible]“ წარმოდგენები, რომლითაც იკვებებიან ჩვენი მემარჯვენე წრეები, ისევე გაიცრუვდება ამ კონფერენციის დამთავრების შემდეგ, რაც ერთხელ კიდევ დაამტკიცებს მათ არა პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას.

სიმ. ხუნდაძე.

## შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის № 148-ში ამხ. სერ. მაღლობელის წერილში არის შემდეგი კორექტურული შეცდომა.

სწერია „ტერმინი პოლიტიკა პირველად იხმარა არისტოტელმა, რომლის შემდეგ პლატონმა რამდენიმე დაასაბუთა პოლიტიკის თეორეტიული და პრაქტიკული მხარენი“.

უნდა იყოს: „ტერმინი პოლიტიკა პირველად იხმარა არისტოტელმა მას შემდეგ, რაც პლატონმა“..

სწერია: „აქედან მას გამოჰყავს მონარქია, არისტოკრატია და პოლიტიკა“.

უნდა იყოს: „მონარქია, არისტოკრატია და პოლიტია“.

## ახალი ამბები

— **მუხის გაშენება.** თელავის მაზრაში (ტფილისის მახლობლად) 15 დესეტინა მიწის სივრცე დათესილია მუხის თესლით.

— **აფხაზეთის პორტები.** საქართველოს რევკომის დადგენილებით აფხაზეთის ნავთსადგურის მთელი შემოსავალი უნდა იქმნეს შეტანილი საქართველოს საზღვაო სატრანსპორტო სამართველოს კასაში.

— **გიონ საგანელის საღამო.** პარასკევს 17 თებერვალს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება გიონ საგანელის საღამო. I სიტყვა გიონ საგანელს. II დამთავრებული სიტყვა პოეზიიდან. III პოეზია. ბილეთები იყიდება. დაწყება 9 საათზე.

— **ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში.** ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის კრებაზე, 10 თებერვალს, ირჩეოდა ზომები ლითონის განყოფილების წარმოების აღდგენის შესახებ, რომელიც უკანასკნელ თვეში 50% დაეცა. მიანდვეს ამხ. კიკნაძეს შეიმუშავოს ზომები წარმოების აღსადგენად და ამ ზომების პროექტი გადაეცეს განსახილველად გამგეობას.

— **„ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ განახლება.** 1922 წელს გამოვა საყმაწვილო ჟურნალები: „ჯეჯილი“ მოზრდილთათვის და „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის. ჟურნალები გამოვა სახალხო განათლების კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარ-მართველობასთან არსებული სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობით. სასწავლებლებს დაურიგდებათ უსასყიდლოთ.

— შაბათს, თებერვლის 11-ს, მოხდა პირველი სხდომა განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირის ახლად არჩეული გამგეობისა. პრეზიდიუმში აირჩიეს: გ. რუხაძე, ს. შავერდოვისა, მალჩანოვი, ო. ბუკშტეინი, შ. გეგენავა.

— **ლითონზე მომუშავეთა ყრილობა.** სრულიად რუსეთის ლითონზე მომუშავეთა მოსკოვის ყრილობაზე, რომელიც მარტის 1-ლს გაიხსნება, საქართველოს ლითონზე მომუშავეთა პროფკავშირების მიერ დანიშნულია ამხ. პრეობრაჟენსკი.

— **პროფკავშირების კლუბი.** შესდგა დროებითი გამგეობა პროფკავშირთა კლუბისა, რომელმაც აირჩია პრეზიდიუმი ამხ. ყურულაშვილის თავმჯდომარეობით. წევრთა ჩაწერა სწარმოებს დილის 11 საათიდან—1 საათამდის და საღ. 5 საათიდან კლუბის დახურვამდის.

— **ბათომის ნავთსადგურში.** ნავთსადგურში მოვიდნენ შემდეგი გემები: თებერვლის 8 ერთი იტალიანი გემი 50 ფუთი თევზის ქონით და 10 თებერვალს 3 იტალიანი გემი 672 ფ. სხვა და სხვა საქონლით. წავიდნენ თებერვლის 8—საფრანგეთის გემი „მარშალ ფოში“ 20 ტონი სხვა და სხვა საქონლით და მგზავრებით.

## პარტიაში

— ხვალ, თებერვლის 14, საღამოს 6 საათზე, „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა.

## რუსეთი

**მოსკოვი.** თებ. 11. ოდესა და ნიკოლაევსკის გაზეთებში გამოქვეყნებულია დამშეულთა სურათი. მდგომარეობა, ცნობების მიხედვით, კოშმარულია. ბავშვები აუტანელ პირობებშია. ნიკოლაევსკიდან ხარკოვამდე გზებში ისმის მშიერ ბავშვთა საზარი ხმა, იხოცებიან ასობით.

**მოსკოვი.** თებ. 11. მეორე დონის ოლქში სიმშილობს 40 პროცენტი მცხოვრებლებისა.

**მოსკოვი.** თებ. 11 ნაუენიდან იტყობინებიან, რომ პუანკარემ მიიწვია პარიზში რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი საზონოვი. პუანკარეს სურვილია გაეცნოს იმ ცნობებს, რომლის გამოქვეყნებას ცდილობს საზონოვი, ძველი რუსეთის დიპლომატიის შესახებ.

## უცხოეთი

### გენუის კონფერენცია.

**მოსკოვი** თებერ. 11 ჰანოვერიდან თებერვლის 8-ს დეპეშით იტყობინებიან: რომიდან მოსული ცნობებით კაბინეტის შეცვლა არ გამოიწვევს კონფერენციის გადადებას. იქიდანვე იტყობინებიან, რომ საფრანგეთმა წინადადება მისცა ინგლისს გადასდვან კონფერენცია სამის თვით.

**მოსკოვი** თებერ. 11. ბერლინიდან მოსული ცნობით, არსებითი პირობებს მომავალ კონფერენციის გამართვისათვის, გაზ. „ტანის“ აზრით, წარმოადგენენ საკითხის გადაჭრა მისი ორგანიზაციის შესახებ. შესაძლებელია ორი მეთოდი „ასეთი ორგანიზაციისა: ან ერთი რომელიმე მთავრობათაგანი, რომელიც მონაწილეობს კონფერენციაზე, აიღებს თავის თავზე ინიციატივასა და პასუხისმგებლობას მუშაობისათვის, რომელიც უნდა აწარმოოს კონფერენციამ, ან შესაძლებელია შეიქმნეს, განსაზღვრულ ხარისხით დამოუკიდებელი, აპარატი იმ პირებისაგან შემდგარი, რომელნიც ცნობილნი არიან თავიანთი მიუდგომლობით და აქვთ ხანგრძლივი გამოცდილება საერთაშორისო პოლიტიკაში. უწოდებს რა პირველს მეთოდს არისტოკრატიულსა და მეორეს დემოკრატიულს, „ტანი“ აცხადებს, რომ გენუის კონფერენციაზე გამგზავრებული საფრანგეთი უნდა დარჩეს ერთგული მეორე მეთოდისა. შემდეგ „ტანი“ უერთდება სტოკჰოლმის სოციალ-დემოკრატიების თვალთახედვისს, რომ გენუის კონფერენციისათვის მუშაობის მზადება ყველაზე უფრო შეეფერება ხალხთა ლიგას. ეს ორგანიზაცია, დაასკვნის „ტანი“, სხვაზე უფრო უკეთესად შესძლებდა განეხორციელებინა თანხმობა ხალხთა შორის.

—

### გაფიცვები გერმანიაში.

**მოსკოვი** თებერ. 11 ჰანოვერიდან გადმოგვცემენ თებერვლის 6-ს ამერიკის შემდეგს რადიოს: „დღეს ყველაზე უფრო საშინელი კვირა არის დიდიდან რევოლიუციისა, ბერლინის ისტორიაში. მთელი ქალაქი, გამოუკლებლივ თეატრებით, კინემატოგრაფებით, რესტორანებითა და ჰოსპიტლებით, ჩაფლული არის გაუვალ წყვდიადში. ექიმებს არ შეუძლიათ ემსახურონ ავადმყოფებს და მოახდინონ უბრალო ოპერაციაც კი. მართალია ბერლინის ქალაქის თავი დარწმუნებულია, რომ სერიოზული მოძრაობა აქ ნამდვილად არ არის საკუთრივ მდგომარეობაში, მიუხედავად ამისა, მცხოვრებლები შიმშილით დამონებული, საშინელ ყინვებში ჰკვდებიან დაუსრულებ-

ზილს კუდებს კოლონიალურ და საწვრილმანო მაღაზიების წინ, რომელნიც ყიდიან უკანასკნელ ლუკმა პურსაც. ფულები ყოველ საათობით უზომოდ იზრდება. პროდუქტებს მალავენ. წყლის სადენ მილებთან თავს იყრიან ზრბოები: ცეცხლს მიაქვთ ვედრები, ქოთნები, დოქები და სასტიკად იცავენ მდგომარეობას. უმრავლესობა რიცხავს მათ წინამორბედებათ უფრო სერიოზული მოვლენებისა. ქალაქის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო არ არის წყალი, ელექტრონი, გაზეთები და ტრამვაი. ქარხნების უმეტესობა უკვე დახურულია. თეატრები, დიდი ლუდხანები და რესტორანები აგრეთვე დახურულია. ქუჩებში სრული წყვდიადია. რამდენიმე მატარებელი, რომელნიც მოქმედებენ ბერლინსა და უმთავრეს ქალაქებს შორის, რკინის გზის უმაღლეს მოსამსახურეებისაგან არიან მოყვანილი მოძრაობაში.

## ქუთაისი

მე მახსოვს ქუთაისი ომის დროს, ქუთაისი რევოლიუციის პირველ ხანებში, ქუთაისი წარსულში. იქ დუღდა ცხოვრება, იქ იქმნებოდა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, იქ ყალიბდებოდა გეგმები და მომავალი პერსპექტივები ახალ ქვეყნის შექმნისათვის. ერთი სიტყვით, ქუთაისი იყო ერთგვარი ცენტრი, საიდანაც საზოგადოებრივი აზრი, ეროვნული კულტურული აღმშენებლობის გზები ფართოდ იშლებოდა მთელ საქართველოს ზომსადარში და მის საზღვრებს იქით. ქუთაისი პირველი იყო ყოველივე ახალ საქმეში, ახალ დაწყებაში, ახალ მოძრაობაში. რევოლიუციონური მოძრაობა საუკეთესო გამომძახილს, მტკიცე მძლავრ გამომძახილს სწორედ რომ ქუთაისში პოულობდა.

თეატრი საუკეთესო დასით, ყოველ მიმართულების ჟურნალ-გაზეთები, წიგნების გამომცემლობა და სხვა მრავალი—ეს ქუთაისის მშვენება იყო.

რევოლიუციონური მოძრაობა და საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა კი მოითხოვდა მთელი კულტურულ ძალების ძიმვლება დედა ქალაქისაკენ, სადაც ეროვნულ სახელმწიფოს შენებას აუცილებლად სჭირდებოდა ძველ მონარქიულ წესწყობილების რუს და გადაგვარებულ ქართველთა ნაცვლად საქართველოს მშრომელი ხალხიდან გამოსული კულტურული ძალები და დაიძრა კიდეც მთელი იმერეთი ტფილისისაკენ. დაიძრა მთლიანად. მრავალი ახალი დაწესებულებანი, სასწავლებლები, უნივერსიტეტი, თეატრები და ყოველივე დარგი ჩვენი ცხოვრებისა ითხოვდა სულ ახალ-ახალ ძალებს და უმთავრესად ქუთაისი იყო საქართველოსთვის ის სათადარიგო ნაწილი, რომელიც აწვდიდა ამ ძალებს დედა-ქალაქს.

1918 წელი იყო აუცილებლივ ჩვენს ცხოვრებაში აღსანიშნავი, ვინაიდან პირველი დიდი ტალღა გადმოსულებისა ქუთაისიდან ტფილისში მოხდა სწორედ ამ წელს და იქიდან მოყოლებული მოდის და მოდის ცენტრისაკენ ყველა, ვისაც სწყურია კულტურული ცხოვრება, ვისაც სურს ჩაება საქართველოს რესპუბლიკის აღმშენებლობაში, ვისაც არ სურს გაიხლართოს მეშჩანიზმის ქსოვში. ეს ასეა სამწუხაროდ.

ყოველივე ამ მიზეზების გამო, თანდათან ეცემა და თუ კი შესაფერისი ზომები არ იქნა მიღებული, რასაკვირველია სავსებით დაეცემა ქუთაისი.

მაშინ, როდესაც ტფილისს აკლია მუშაკები ისეთ დარგში, როგორიც არის სტამბის საქმე, ქუთაისში უმოქმედობის გამო იხურება სტამბები და მრავალი მუშა ასოთ-ამწყობები რჩება სამსახურის გარეთ.

ჟურნალ-გაზეთების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. გამოდის ერთი გაზეთი და ისიც კვირაში ერთხელ.

დრამატიული დასი კრიტიკის გარეშე დგას, თუ არ მივიღეთ მხედველობაში ერთი-ორი მსახიობი.

საზოგადოებრივი აზრი, როგორც ასეთი, დღეს ქუთაისში არ არის. ამ მხრივ ის წარმოადგენს ერთგვარ ჭორიკანაობის ბუდეს, სადაც ითხზება მრავალი არაჩვეულებრივი პოლიტიკური ჭორები.

მატარებლიდან ჩამოსვლისათანავე პირველი ნაცნობის კითხვა ჩემდამი მომართული იყო:

„გერმანიის საელჩოს ჩამოუყლია აკაკი ჩხენკელიო და დიდი რიხით წაუყენებია საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისათვის სხვა და სხვა მოთხოვნილებანი და მისი დაჭერაც ვერ გაუბედიათო“.

ჩემს სიცილზე, მართლაც მხიარულ სიცილზე, ჩემი მობაასე გაშტერებით მიყურებდა და არ იცოდა რა ექნა. იმ პირველ დღის განმავლობაში უკანასკნელი ოცი-ოცდახუთ კაცმა მომიყვა ზემოხსენებული ჭორი, როგორც რაღაც საიდუმლო ახალი ამბავი.

ასეთი ჭორები ყოველ დღე ახალია. მართლაც რომ მოხერხებული და გაიძვერა შემთხზველები ყავთ ქუთაისში მეჭორეთა ბანაკში.

ეს ჭორები თითქმის ერთადერთია, რაც ერთგვარ კმაყოფილების საზრდოს აძლევს ქუთაისის ხალხის უმრავლეს ნაწილს, უმთავრესად კი ბურჟუაზიულ და მემარჯვენე ინტელიგენციის წრეებში.

სწორედ ასეთ მოვლენას უნდა მიეწეროს ის კონტრ-რევოლიუციონური სულისკვეთება, რომელიც საერთოდ სუფევს ქუთაისში.

არის, რასაკვირველია, ქუთაისის ცხოვრებაში დადებითი მხარეებიც. აღსანიშნავია ადგილობრივ თეატრის გაფართოვება-გალამაზება, რამაც განათლების განყოფილებას დიდი უნარი გამოუჩენია. ის, რაც ვერ გაკეთდა რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში, გაკეთდა ახლა. მსახიობები ედირსნენ სათანადო ტეხნიკას სცენაზე, რომლის რემონტისათვისაც დახარჯულა 35 მილიონი მანეთი.

გამოვიდა ქუთაისში ახალგაზრდათა გაზეთი „ქუთაისი“, რომელიც ეკუთვნის ე. წ. ფენიქსელთა ჯგუფს. ეს მოვლენა მით უმეტეს აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდათა წრეში კიდევ დვივის ნორჩი ახალგაზდური კარგ მომავლისადმი მისწრაფება.

უნდა აღინიშნოს ქუთაისში აუცილებლად „მევარდენი“-ს მუშაობა. ეს ყველასაგან მივიწყებული, ყველას მიერ ქუთაისში შევიწროებული ორგანიზაცია, გამსჭვალული მშრომელ ხალხისადმი სიყვარულით, მაინც განაგრძობს თავის უანგარო, თავდადებულ მუშაობას.

ასეთია საერთოდ ცხოვრება ქუთაისის მიდამოებში, ამ მივარდნილ-მივიწყებულ ქალაქში, სადაც ხეირიანად რკინის გზაც კი არ უდგება და პირდაპირ აუწერელ ტანჯვას განიცდის ის მგზავრი, რომელიც მიემგზავრება ქუთაისში და იქიდან ბრუნდება. სადგურ რიონზე განაწამებ ხალხის გლოვას საზღვარი არა აქვს. ჩვეულებრივ მოქალაქესთან ერთად წვალებაშია ყველა ის მუშამოსამსახურეც, რომელიც სამსახურის თუ შინაურ საქმეების გამო მიემგზავრება ქუთაისში.

სასურველი იქნება თუ საქართველოს მთავრობა მიაქცევს ამას ყურადღებას და ერთს პირდაპირ ვაგონს ტფილისიდან ქუთაისამდე მაინც გამოაბამს სამგზავრო მატარებელზე.

ასეთია მოკლედ ჩემი შთაბეჭდილება, რომელიც გამოვიტანე რამოდენიმე დღის ყოფნის დროს ქუთაისში.

ს. ახლმაიშვილი.

## ღამის თევა

(იხ. კ. ჭიჭინაძის ლექსი ამავე სათაურით)

ძლვნად მეპურეებს.

მე ამ ღამეს, ნაცნობ ღამეს გავატარებ ნათლად.
მე წილად მხვდა სიმშილობა, სინოყივრის ნაცვლად.
ვზივარ მარტოდ, არ ვარიდებ თვალთა ხედვას მწუხარს
სადაც პური მეგულება—შკაფს, მაგიდას, ბუხარს.
აი, ეხლა შიგ დავეძებ უკანასკნელ ნატეხს,-
თუ ვიპოვე—მერე ჩემ გულს ვერასფერი გასტეხს!
წამოვდექი. ძირს დაეცა ჩემი გრძელი ჩრდილი.
მას ზემოდან დავაცქერდი გულ-ხელ დაკრეფილი.
მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, ეს—ლანდია მკვდარი,
მე აქა ვარ; ძმგრამ მქადი, ან პური სად არი?
იქნებ ვინმემ ჩემზე ადრე უფათურა ხელი
საუბედუროდ ძოხაბა რაიმე საჭმელი?
მერე ის ხომ პირს შეახებს სხვისაგან ხელუხლებს,
მერე ის ხომ გადაყლაპავს მოზრდილ დიდრონ ლუკმებს?
მერე ის ხომ.. აჰ! მიკბინა კუჭში რაღაც გველმა.
ლაშისაა გამაგიჟოს მადამ საშინელმა!..
იატაკზე ატორტმანდა ჩემი გრძელი ჩრდილი,
სავარძელში ჩავესვენე მეცელ მეკეცილი!
ნეტავ ამ კუჭს ამ ღამეში რაღა გააყუჩებს.
ჭამა მაინც არ მეეძლოს ჩემ მოკუმშულ ტუჩებს.

ორი მშიერი.

## მოწოდება

მცხოვანის მწიგნობარის ზაქ. რია ჭიჭინაძის 50 წლის მოღვაწეობის იუბილეისათვის.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ დაადგინა გადახდილ იქმნას, ჭაღარ ით შემოსილი მწიგნობარის ზაქარია ჭიჭინაძის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე, და დაუკავშიროს მას ქართული წიგნის დღესასწაული, ქართული წიგნი სულია საქართველოს შემოქმედებისა, როდესაც მისი ისტორია დაიწერება, იგი იქნება არა მარტო წიგნი, არამედ საქართველოს კულტურის ისტორიაც. იყვნენ და არიან საქართველოში მწიგნობრობის რაინდები. ისინი უანგაროდ ემსახურებიან მისი აყვავების და აღორძინების საქმეს. მათ შორის ყველაზე უფრო თავდადებული არის ზაქარია ჭიჭინაძე. 50 წლის განმავლობაში მოღვაწეობს ეს რაინდი ქართული წიგნისა. როდესაც იგი ამ ასპარეზზე გამოვიდა, თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ საქართველოში საზოგადოებრივი იდეებით გატაცებული პიროვნებები. ზაქარია ჭიჭინაძე თავდადებით შეუდგა უკვდავ შობილს საქმეს: მთელი საქართველო მოფენილია მის მიერ გამოცემული წიგნებით. მან მრავალი ძველი ხელნაწერი პირველად გააცნო საზოგადოებას. მთაწმინდის ქუჩები კიდევ ინ ხუბენ ლეგენდებს იმის შესახებ, თუ ვის ჭერქვეშ იფარებდა თავს ჩვენი დევნილი ახალგაზრდობა, რომელმაც შემდეგ სახელი გაითქვა ლიტერატურაში, პოლიტიკაში და სხვ. ჩვენ არ მოვყვწყინდებთ ამ სახელების ჩამოთვლას: შიო არაგვისპირელი, სილიბისტრო ჯიბლაძე, რამიშვილი, ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე, ეგნატე ნინოშვილი, ვაჟა ფშაველა, ბაჩანა, თედორე რაზიკაშვილი, პოეტი პარმენ ცახელი, იოსებ დავითაშვილი, ნიკო მარი, ალექსანდრე ყაზბეგი, აკაკი წერეთელი, ანასტასია ერისთავ ჩერქეზიშვილი. ამათი რიცხვი ასობით ჩამოითვლება უფრო მეტია მათი რიცხვი, რომელთაც მიწერ-მოწერა ჰქონდათ ზაქარია ჭიჭინაძესთან: აკადემიკოსი მარი, ბროსსე, პროფესორი დავით ჩუბინაშვილი, პროფესორი ილია ოქრომჭედლიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, პატრი მიხეილ თამარაშვილი და სხვები.

სამცხე-ჯავახეთი საქართველოში პირველად შეიტყო ქართული წიგნი ზაქარია ჭიჭინაძის წყალობით. იქ მშობლიური [illegible] აღდგენის საქმეს ჩაუყარა საფუძველი [illegible] პირველად ეკუთვნის აგრეთვე [illegible] ქართველ კათოლიკების შესახებ და [illegible] სიტყვის: „ქართველი კათოლიკე“. მან პირველმა დაწერა ქართველი [illegible] ების ისტორია, მეტად მნიშვნელოვანი წიგნები ოსმალების და ლეკების შესახებ. მას ეკუთვნის საქართველოში პირველი წერილი „ქართლ მოქსზე“ მისი გამოცემის გამო 1887 წელს, პირველმა ახსენა ახალი სახელები საქართველოში: პრუდონი, ლუი ბლანი, რობერტ ოუენი, სენ სიმონი, ფურიე. ის თანამშრომლობდა საქართველოს ყველა გაზეთებში და მათში დაბეჭდილი მასალები გამოვა რამოდენიმე ტომი. რიცხვი ამ გაზეთებისა უდრის რამდენიმე ათას ნომერს. ზაქარია ჭიჭინაძეს კალამს ეკუთვნის ორას ორმოცდა ათამდე წიგნი. ამ რიცხვში დაბეჭდილია მხოლოდ ას თდორმეტი, დანარჩენი კი მეტად ძვირფასი მასალა, ჯერ კიდევ დაუბეჭდავია. ძნელია ჯერ კიდევ დათვლა იმ ავტორებისა, რომლებიც ცალკე წიგნებად გამოიცნენ ზაქარია ჭიჭინაძის ხელით. მან მოიარა მთელი საქართველო, მის სხვა და სხვა კუთხეში კრებდა ხალხურ შემოქმედების ნიმუშებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, ლექსებს. ქართული ჟურნალ-გაზეთები სავსეა ზაქარია ჭიჭინაძის ისტორიული წერილებით. ქართული ლიტერატურის კორიფეები გულწრფელ დაფასებას პოულობდნენ ზაქარია ჭიჭინაძესთან წინად უცნობი და შემდეგში განთქმული სახელები ხშირად პირველად იბეჭდებიან ზაქარია ჭიჭინაძის მიერ.

ზაქარია ჭიჭინაძე ერთად ერთი ადამიანია, რომელიც პირადად იცნობდა უკანას გამცემსა ქართული ჟურნალის „ცისკარის“ თანამშრომლებიდან დაწყებული. იგი ერთად ერთი ინახავს ძვირფას მოგონებებს ქართული წიგნის აღორძინების ას. იგი განპიროვნებული ტრადიციაა ჩვენი 19 საუკუნის კულტურისა. იგი ცოცხალი სუნთქავდა ქართული წიგნის მადაზიების ჰაერით. მისი ტიპიური ბიბლიოფილის სახე მარად ათუბულია ქართული წიგნისადმი სიყვარულში და თვითონაც წიგნია ცოცხალი.

დადგა დრო როდესაც დაფასებული უნდა იქნას ეს უბრალო მაგრამ დიდი პიროვნება. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო მოუწოდებს მთელ საქართველოს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ზაქარია ჭიჭინაძის საიუბილეო დღესასწაულში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს საზოგადოებრივი აზრი ლიხს იქითაც და აქეთაც ენერგიულად გამოეხმაურება ჩვენს მოწოდებას და ეს იქნება უკეთესი თაყვანი ამ დღის ბრწყინვალედ ჩატარებისა.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო.

ქ. ტფილისი.
1922 წ. 3 თებერვალი.

## მოწერილი ამბები

დ. ბაღდათი. ბაღდადის რაიონი ერთ-ერთ კულტურულ ცენტრად ითვლება [illegible] უმთავრესი საქმიანობა ხალხისა მევენახეობაა. ქუთაისის მაზრაში ბაღდათის ღვინო ცნობილია. ხალხი იმდენად ავრცელებდა ვენახის გაშენებას, რომ სიმინდის მოყვანა თითქმის იშვიათი მოვლენა გახდა. წინეთ, როდესაც მოსავლიანობა საშუალოზე მეტი იყო, მაშინაც ბაღდათის რაიონის უმთავრესი საარსებო საშუალება იყო ღვინის გაყიდვა, რომელიც სიმინდზე გადადიოდა. ასე, რომ სიმინდით ეს რაიონი არასოდეს არ იყო უზრუნველყოფილი.

დღეს კი, როდესაც მოსავალი ქუთაისის მაზრაში თითქმის სრულებით განადგურდა, ბაღდათის რაიონი უმწეო მდგომარეობაშია.

საკვირველი მოვლენაა, რომ ეს რაიონი არ არის შეტანილი დამშეულ რაიონთა რიცხვში.

ბაღდათის მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. საჭიროა კი დაუყოვნებლივ დახმარება. ექვსი სოფელი სიმშილს განიცდის. ღვინით ავსილია ეს სოფლები, მაგრამ ღვინით სარგებლობენ ჩარჩები, რადგან გატანის საშუალება გლეხებს არა აქვთ.

ამიტომ ბაღდათის რაიონის წარმომადგენელი ჩამოვიდა ტფილისში, რომელმაც ჩამოიტანა შუამდგომლობა ახსენებული რაიონისა, რომ მიეცეს რაიონს ღვინის გატანის უფლება რესპუბლიკის საზღვრებში, ხოლო კოოპერატივს საზღვარ გარედ გადასახადების განთავისუფლებით. ამასთანავე დაეთმოს 1 ვაგონი უფასოდ. უფლება სიმინდის ყიდვისა სახელმწიფო ფასებში და აგრეთვე ღვინის გადაცვლის უფლება სიმინდზედ.

ყოველივე ეს აუცილებელია ხსენებული რაიონისათვის. სათესლეც კი არ მოიძებნება ამ რაიონში, რომ მომავლისათვის მაინც შეიძლოს ხალხმა მუშაობა.

საჭიროა, რომ საქ. რევ. კომიტეტმა დაუყოვნებლივ განიხილოს შუამდგომლობა და დააკმაყოფილოს ზემოხსენებული შუამდგომლობა.

იმერი.

## ლეილა ოპერა

ნიჭიერმა კომპოზიტორმა ვიქტორ დოლიძემ, ქეთო და კოტე ოპერის ავტორმა, სახელმწიფო ოპერის დირექციას წარუდგინა ჯერ კიდევ მოქ. ალ. წუწუნავას კომისრობის დროს, თავისი მეორე ოპერა სახელად ლეილა.

პირველად მუსიკა ქეთო და კოტე ოპერისა იმდენად დაბალი ღირსების იყო თურმე ოპერის სამუსიკო კომისიისთვის, რომ ოპერა კინაღამ სამუდამოდ დაწუნებულ და უღირსად მიჩნეულ იქმნა, რომ საოპერო რეპერტუარში მიექცეოდიყო, მაგრამ, როგორც იყო, ნავსი გატყდა და დღეს საზოგადოება მკვეთესი მსჯელი გამოდგა, ქეთო და კოტე უფრო მეტ მაყურებელს იზიდავს ხანდახან, ვიდრე რომელიმე პირველ ხარისხოვანი ოპერა, პირველ ხარისხოვანი არტისტების მიერ შესრულებული.

რაც შეეხება ლეილას, მისი მუსიკა ერთხმად მოწონებულ იქმნა ასე რომ ვისაც მოუსმენია, ყველა ამბობს, ლეილას მუსიკა ისე მაღლა სდგას, რომ შედარებაც არ შეიძლება ქეთო და კოტეს მუსიკასთანაო. როგორც იყო ლეილას რეპეტიციები დაიწყო, მაგრამ მერმე შესწყდა და მხოლოდ ეხლახან გამოიცა ანონსი, ლეილა მზადდებაო დასადგმელად.

რადგანაც მზადება ჯერ კიდევ არ ჰნიშნავს მის უეჭველ დადგმას, განსაკუთრებით დღევანდელ გარემოებაში, სასურველია, ვიცოდეთ, რა აბრკოლებს ლეილას დადგმას და წარმოდგენილ როდის იქნება.

მოქ-ლაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.